ქალაქის ბაზრობაზე არის ადგილი, სადაც ბავშვებს შეუძლია გაცვალონ სათამაშო ბარათები.



ცხოველების **1** ბარათი იგივეა კომიქსების **2** ბარათი



ცხოველების **2** ბარათი იგივეა სპორტის **3** ბარათი

ცხოველების ბარათების გაცვლა

დავალება 1

ა. დათოს აქვს **5** ბარათი რომელზეც ცხოველია გამოსახული და უნდა მათი კომიქსების ბარათებზე გაცვლა. რამდენ კომიქსების ბარათს მიიღებს?

პასუხი: _____ კომიქსების ბარათი

დავალება 2

ბ. გიორგის აქვს **8** ბარათი, რომელზეც ცხოველია გამოსახული და უნდა მათი სპორტის ბარათებზე გაცვლა. რამდენ სპორტის ბარათს მიიღებს ის?

პასუხი: _____ სპორტის ბარათი

LIVEWORKSHEETS

დავალება 3

გ. ქეთის აქვს **6** ბარათი, რომელზეც ცხოველია გამოსახული. მას სურს, რომ ეს ბარათები გაცვალოს რაც შეიძლება მეტ ბარათში.

რამდენი კომიქსის ბარათი მოუვა ქეთის? _____

რამდენი სპორტის ბარათი მოუვა ქეთის? _____

რომელ ბარათებზე ჯობია გაცვალოს ქეთიმ თავისი ბარათები – კომიქსის თუ სპორტის ბარათებზე?

პასუხი: _____

დავალება 4

სანდროს **15** სპორტის ბარათი აქვს ცხოველების ბარათებში გასაცვლელად. ცხოველების რამდენ ბარათში შეუძლია მას მათი გაცვლა?

პასუხი: _____ ცხოველების ბარათი

დავალება 5

ბადრის კომიქსის **8** ბარათი აქვს სპორტის ბარათებში გასაცვლელად. სპორტის რამდენ ბარათში შეუძლია მას მათი გაცვლა?

პასუხი: _____ სპორტის ბარათი

LIVEWORKSHEETS

დავალება 6

გემში **218** მგზავრია და **191** ეკიპაჟის წევრი.
სულ რამდენი ადამიანია გემზე?

პასუხი: _____

დავალება 7

რუკის მასშტაბი აჩვენებს, რომ რუკაზე **1** სმ მანძილი შეესაბამება მიწაზე **4** კილომეტრ მანძილს. ორ ქალაქს შორის დაშორება რუკაზე **8** სანტიმეტრია. რამდენი კილომეტრის ტოლია სინამდვილეში ამ ორ ქალაქს შორის მანძილი?

ⓐ 2

ⓑ 8

ⓖ 16

ⓓ 32

დავალება 8

დათომ ჯერ მანქანით გაიარა 4,8 კმ., შემდეგ კი ავტობუსით - 1,5 კმ.

სულ რა მანძილი გაიარა დათომ?

ⓐ 6,3 კმ

ⓑ 5,8 კმ

ⓖ 5,13 კმ

ⓓ 4,95 კმ

LIVEWORKSHEETS

დავალება 9

ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილე გუნდი იღებს:

3 ქულას მოგებისთვის;

1 ქულას ფრესთვის;

0 ქულას წაგებისთვის.

ზედლანდს აქვს 11 ქულა.

რისი ტოლია თამაშების **უმცირესი** რაოდენობა, რომელიც შეიძლება ჩაეტარებინა ზედლანდს?

პასუხი: _____

დავალება 10

კახამ ასანთის ღერებით 4 ფიგურა უნდა ააგოს.

1-ლი, მე-2 და მე-3 ფიგურები ქვემოთაა მოცემული.

1-ლი ფიგურის ასაგებად მას დასჭირდა ასანთის ოთხი ღერი, მე-2 ფიგურის ასაგებად – შვიდი ღერი, ხოლო მე–3 ფიგურის ასაგებად – ათი ღერი.



1 2 3

ყოველი მომდევნო ფიგურის აგებისას კახა ერთსა და იმავე წესს იყენებს.

ასანთის რამდენი ღერი დასჭირდება კახას მე-4 ფიგურის ასაგებად?

პასუხი: _____

LIVEWORKSHEETS